წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების, რომლებიც იმყოფებიან კრიზისულ ვითარებაში დახმარების მიზნით სოციალური ღონისძიებების დაფინანსების განმსაზღვრელი კომისიის

სხდომის ოქმი

ოქმი N1

ქ.წყალტუბო 18აპრილი 2023 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: -წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- შალვა კილაძე

სხდომას ესწრებოდა: გრიგოლ ყურაშვილი, ნათია ჩაკვეტაძე, ირმა ხელაძე, ირმა ბენიძე, ციცინო გელენიძე, დარეჯან მიქაუტაძე

სხდომის თავმჯდომარემ შალვა კილაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ყუმისთავში რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი გულადი ტუსკაძის ოჯახის სოციაურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში რეგისტრირებული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ლედი ნიკოლეიშვილის ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ შალვა კილაძემ კომისიას გააცნო ბავშვთა ზრუნვის საკითხებში სოციალური მუშაკის და მულტიდისციპლინარული ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი გულადი ტუსკაძის ოჯახის მდგომარეობასა და საჭიროებებზე, რომლის მიხედვით გამოკვეთილი იქნა, რომ მრავალშვილიან ოჯახისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სარეცხი მანქანის, საწოლებისა და კარადის შეძენა და ამ კუთხით თანხის გამოყოფა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნათია ჩაკვეტაძემ და აღნიშნა რომ სოციალური მუშაკის და მულტიდისციპლინარული ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნაში ნათლადაა გამოკვეთილი გულადი ტუსკაძის ოჯახის მძიმე სოციალური მდგომარეობა, გამოკვეთილია მათი საჭიროებები და მიზანშეწონილად მიიჩნია ოჯახისათვის გამოყოფილი იქნას ფულადი თანხა სარეცხი მანქანის, კარადის და საწოლების შესაძენად.

მიღებულია გადაწყვეტილება: კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დახმარება გაეწიოს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ გულადი ტუსკაძის ოჯახს, გამოეყოს თანხა 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით და აღნიშნული თანხის ფარგლებში შეიძინოს ერთი სარეცხი მანქანა, ორი საწოლი და ტანსაცმლის კარადა. ეთხოვოს ოჯახში მომუშავე სოციალურ მუშაკს, დაეხმაროს ოჯახს აღნიშნული ნივთების შეძენაში და შეძენილი ნივთების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წამოდგენაში(ნივთების ფოტომასალით.)

კენჭისყრის შედეგები: 7
მომხრე:7
წინააღმდეგი:0

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ შალვა კილაძემ კომისიას გააცნო ბავშვთა ზრუნვის საკითხებში სოციალური მუშაკის და მულტიდისციპლინარული ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ლედი ნიკოლეიშვილის ოჯახის მდგომარეობასა და საჭიროებებზე რომლის მიხედვით გამოკვეთილი იქნა რომ მრავალშვილიან ოჯახისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სარეცხი მანქანის, საწოლებისა და კარადის შეძენა და ამ კუთხით თანხის გამოყოფა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნათია ჩაკვეტაძემ და აღნიშნა რომ სოციალური მუშაკის და მულტიდისციპლინარული ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნაში ნათლადაა გამოკვეთილი ლედი ნიკოლეიშვილის ოჯახის მძიმე სოციალური მდგომარეობა, გამოკვეთილია მათი საჭიროებები და მიზანშეწონილად მიიჩნია ოჯახისათვის გამოყოფილი იქნას ფულადი თანხა სარეცხი მანქანის, კარადის და საწოლების შესაძენად.

მიღებულია გადაწყვეტილება: კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დახმარება გაეწიოს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ლედი ნიკოლეიშვილის ოჯახს . გამოეყოს თანხა 2000 (ორიათასი) ლარის ოდენობით და აღნიშნული თანხის ფარგლებში შეიძინოს ერთი სარეცხი მანქანა, ორი საწოლი და ტანსაცმლის კარადა. ეთხოვოს ოჯახში მომუშავე სოციალურ მუშაკს, დაეხმაროს ოჯახს აღნიშნული ნივთების შეძენაში და შეძენილი ნივთების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენაში(ნივთების ფოტომასალით.)

კენჭისყრის შედეგები:7

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

სხდომა კომისიამ დახურულად გამოაცხადა:

კომისიის თავმჯდომარე: შ. კილაძე

კომისიის წევრები

გ. ყურაშვილი

ნ.ჩაკვეტაძე

ი. ხელაძე

ი. ზენაძე

მ. ქათუტაძე

ცაცელენიძე